კრიზისული კომუნიკაციები კოვიდ-19-ის ჭრილში საქართველოს მაგალითზე

ხატია ერგემლიძე

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

ხელმძღვანელი: თორნიკე გურული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ხატია ერგემლიძე

05.07.2021

აბსტრაქტი

ზოგადად კრიზისი და მასთან ბრძოლის უნივერსალური მეთოდების შემუშავება თანამედროვე სამყაროს ერთერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ლიდერები, რომლებიც უნდა მართავდნენ კრიზისს თანხმდებიან, რომ კარგი კრიზისული მენეჯმენტი და კრიზისიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალება სწორი კომუნიკაციაა და ამიტომაც კრიზისული კომუნიკაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და მისი თანამშრომელბის ძირითადი საფიქრალია.

COVID-19, არის ვირუსი რომელიც პირველია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია და გლობალური კრიზისები შექმნა სხვადასხვა სფეროში, როგორებიცაა ჯანდაცვის სფერო, ეკონომიკა, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები. უნდა ითქვას რომ კორონავირუსის შტამი პირველად 2019 წლის დეკემბერში დაფიქსირდა ჩინეთში, ჰუბეის პროვინცია ქალაქ ვუჰანში. 2020 წლის მარტისთვის სწრაფად გავრცელდა 100-ზე მეტ ქვეყანაში და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა (WHO) 2020 წლის 11 მარტს[1]

საქართველოსთვის კრიზისები უცხო არ არის და საინტერესო იქნება გავაანალიზოთ რა გამოწვევების წინაშე დადგა ამ შემთხვევაში მმართველი გუნდი, როგორც კრიზისის მენეჯერი, რა შეცდომები დაუშვა კომუნიკაციისას და რა გააკეთა კარგად. შეცდომები ბევრი იყო და შევეცდები წარმოდგენილი ნაშრომით სამსჯელო გავხადო აღნიშნული გამოწვევები, რადგან კვლევის მიზანიც სწორედ ესაა. დავინახოთ, გავაანალიზოთ და სამომავლოდ საკუთარ თავს შანსი მივცეთ რომ გამოვასწოროთ...

იგივე პერიოდში სხვა ქვეყნების მაგალითზე შექმნილმა კვლევებმა დაგვანახა, რომ კრიზისი ნამდვილად გლობალური და მომაკვდინებელი იყო, ამისთვის მზად ვერავინ

[1] მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO). 11/03.2020 https://www.who.int/director-general/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020 (01.05.2021-01.06.2021)

იქნებოდა, თუმცა ზოგიერთმა ქვეყანამ მაინც უფრო ღირსეულად გაართვა თავი კრიზისის მართვის გამოწვევებს.

საერთო ჯამში კი შეგვიძლია დავასკვნათ რომ ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა წინაპირობამ რთული გამოწვევების წინაშე დააყენა ლიდერები ალბათ ამანაც გამოიწვია ის დაშვებული შეცდომები, რომლებსაც მივყავართ პანიკამდე, უნდობლობამდე, ეკონომიკურ კრიზისამდე ა.შ.

სასურველია სამომავლოდ ჩატარდეს მოკვლევა - კოვიდის გავლენა ეკონომიკაზე, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე.

საძიებო სიტყვები: კორონა ვირუსი, COVID-19, პანდემია, კრიზისი, კრიზისული კომუნიკაცია, კრიზის მენეჯმენტი,

ABSTRACT

The crisis in general and the development of universal methods of combating it is one of the major challenges of the modern world. Leaders who have to manage a crisis agree that good crisis management and the best way out of a crisis is proper communication and that is why crisis communication is a key concern of the public relations department and its staff..

COVID-19, is the first virus on the list after World War II to have had the greatest impact and created global crises in various areas such as healthcare, economics, socio-political developments. It should be noted that the coronavirus strain was first detected in December 2019 in the city of Wuhan in Hubei Province, China. By March 2020, it was rapidly spreading to more than 100 countries and the World Health Organization declared a pandemic (WHO) on March 11, 2020

Crises are not foreign to Georgia and it will be interesting to analyze what challenges the management team faced in this case, what mistakes it made and what it did well.

Studies on the example of other countries during the same period have shown that the crisis was truly global and deadly, and no one would have been ready for it, although some countries have dealt with the challenges of crisis management with more dignity.

Overall, we can conclude that the socio-economic and political preconditions created in the country posed difficult challenges for the leaders, which probably led to the mistakes that lead to panic, mistrust, economic crisis, etc.

It is desirable to conduct research in the future - the impact of Covid on the economy, social and economic environment.

Key Words: COVID-19, Corona virus, Pandemic, Crisis, Crisis management, Crisis Comunication.

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, თორნიკე გურულს, საწყის ეტაპზე მხარში დგომისთვის და ასევე ლალი კახიანს რომლის ცოდნა, გამოცდილება და სტუდენტებთან მისი მუშაობის სტილი შეუფასებელია.